



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 0 20 0000971853



09/10/2020

**"პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 03 სექტემბრის №770156, 2020 წლის 07 სექტემბრის №791130 და 2020 წლის 06 ოქტომბრის №952397 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“:

**ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) დამტკიცებული/შემუშავებული პროფესიული სტანდარტების ანალიზს (მათი არსებობის შემთხვევაში);“;

**ბ) მე-7 მუხლის:**

**ბ.ა) მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (შემდგომში - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო) დონის მითითებით ქართულ და ინგლისურ ენებზე;“;

**ბ.ბ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„18. მოდულის სტრუქტურის ზოგადი ინფორმაცია მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- ა) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;
- ბ) მოდულის სახელწოდება;
- გ) კრედიტი;
- დ) მოდულზე დაშვების წინაპირობა;
- ე) მოდულის აღწერა;
- ვ) გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი.“;

**გ) მე-8 მუხლის:**

**გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1) ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავება/გადამუშავება ხორციელდება ცენტრის ფარგლებში ან/და გარე ინიციატორის მიერ, განათლების სპეციალისტისა და სფეროს წარმომადგენლის/წარმომადგენელთა ჩართულობით.“;

**გ.ბ) 1<sup>1</sup> პუნქტი ამოღებული იქნას;**

**გ.გ) მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნას;**

**დ) მე-9 მუხლის:**

**დ.ა) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) ამავე წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მიზნით დამოუკიდებელი მოდულის შემუშავება/გადამუშავება.“;

**დ.ბ) მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინიციატორის მიერ შემუშავებული მოდულის პროექტის სახის მოდული ცენტრის ფარგლებში არ არის შემუშავებული (აღნიშნული არ ვრცელდება დამოუკიდებელი მოდულის გადამუშავების თაობაზე პროექტის წარდგენის შემთხვევაზე);

**დ.გ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„11. ცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინიცირების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს წერილობით პოზიციას და უზრუნველყოფს მის განხილვას შესაბამის დარგობრივ საბჭოზე, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების ინფორმირებულობით/ჩართულობით. საკითხის განხილვის პროცესში დარგობრივ საბჭოს წარედგინება ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია ჩარჩო დოკუმენტში ან/და მოდულში/მოდულებში განხორციელებულ შინაარსობრივ ცვლილება/ცვლილებებთან დაკავშირებით.“;

**ე) მე-9 მუხლი:**

**ე.ა) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11<sup>1</sup> - 11<sup>2</sup> პუნქტები:**

„11<sup>1</sup>. ჩარჩო დოკუმენტში ან/და მოდულში/მოდულებში შინაარსობრივი ცვლილება/ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს არსებულ ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ცვლილებების შეტანა ან მოხდეს ახალი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის დამტკიცება. ამ პუნქტით გათვალისწინებული ორივე შემთხვევა იწვევს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების დადგომას.

11<sup>2</sup>. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინიცირება იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს სწავლის შედეგებში ან/და კრედიტების მოცულობაში ან/და

ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში ან/და განხორციელებული ცვლილებების შედეგად იცვლება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონე, მაშინ ცვლილებების შედეგად მიღებული ჩარჩო დოკუმენტი/მოდული განიხილება როგორც ახალი ჩარჩო დოკუმენტი/მოდული.“;

**ე.ბ) მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:**

„15. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროცესი წარიმართება მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის "გ"-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად. ამასთან, საკითხის განხილვის პროცესში დარგობრივ საბჭოს წარედგინება ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია მოდულ(ებ)ში განხორციელებულ შინაარსობრივ ცვლილებ(ებ)თან დაკავშირებით“.

**ვ) მე-10 მუხლის მე-10 პუნქტი ამოღებული იქნას;**

**ზ) მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11-მე-13 პუნქტები:**

„11. ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ამ წესის მე-9 მუხლის მე-11<sup>2</sup> პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებებისგან განსხვავებული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, დარგობრივი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და გასცეს რეკომენდაცია დამტკიცდეს ჩარჩო დოკუმენტი/მოდული არსებული ან ახალი სახით.

12. ჩარჩო დოკუმენტებში/მოდულ(ებ)ში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის ძალაში შესვლის ვადა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება/განვითარება, რომელიც იწვევს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ახალი სწავლის სფეროს დამატებას, ძალაში შედის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში სწავლის სფეროს დამატებასთან დაკავშირებით ინიცირებას ახორციელებს ცენტრი.“;

**თ) მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:**

„1<sup>1</sup>. ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების ან ჩარჩო დოკუმენტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღება იწვევს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების დადგომას.“.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი  
კახაბერ ერაძე

